ხელშეკრულება N69

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ხაშური **12 აპრილი 2019 წელი**

ერთის მხრივ, ხაშურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მერის გიორგი გურასპაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,პროექტი" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის გელადი ნადირაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა *საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N13 და 2019 წლის 28 მარტის N675 განკარგულებებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად,* საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (გრანტი/კრედიტი) ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურული სამუშაოების საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა დანართი N1-ის მიხედვით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (CPV კოდი: 71300000).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება **24 500 (ოცდაოთხიათას ხუთასი) ლარით, დღგ-ს გათვალისწინებით.**
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. შემსრულებელი ვალდებულია დამზადებულ პროექტებში შემსყიდველის მიერ აღმოჩენილი ყველა დეფექტისა და ნაკლის აღმოსაფხვრელად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემსყიდველის მიერ გაკეთებული ოფიციალური მოთხოვნიდან მაქსიმუმ 10 კალენდარულ დღეში (ზუსტ ვადას განსაზღვრავს შემსყიდველი აღნიშნული ფაქტის დადგომისას) მოახდინოს პროექტის კორექტირება, რაზედაც შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმდება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტი.
3.2. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველის მოთხოვნის მიუხედავად მიმწოდებელი არ განახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტის კორექტირებას ან/და განხორციელების მიუხედავად დაკორექტირებულ პროექტში კვლავ აღმოჩნდება დეფექტ(ებ)ი და ნაკლ(ებ)ი, შემსყიდველი იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს მომსახურების საბოლოო მიღებაზე და მის ანაზღაურებაზე;
3.3. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. **მომსახურების წარმოდგენის ვადა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან **45 დღეში** უნდა წარმოადგინოს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ექსპერტიზის დასკვნით; ხელშეკრულების გაფორმებიდან **20 დღის ვადაში** უნდა წარმოადგინოს პროექტის სავარაუდო ვარიანტი დამუშავების პროცესში შემსყიდველთან განსახილველად.
4.2. მომსახურების მიწოდების ადგილი: **ქ. ხაშური, ტაბიძის ქ.N2.**

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2019 წლის 28 ივნისის ჩათვლით.**

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი **ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 18 მარტის N772 ბრძანებით შექმნილი მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის წევრების მიერ;**

6.2. შემსყიდველს მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად წარედგინება შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურა/სასაქონლო ზედნადები;

6.3 შემსყიდველს მიღება-ჩაბარების აქტიდა **ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც გაცემული უნდა იყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს, ან/და სხვა აკრედიტირებული პირის მიერ (იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო", მიმწოდებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. აკრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას)** წარედგინება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის **ან** ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის მიერ;

6.4. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ხელშეკრულებაში შემსყიდველი მხარის წარმომადგენლები ხელის მოწერით ადასტურებენ, რომ მათი მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **2019 წლის N69** ხელშეკრულებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

7. ანგარიშსწორების ფორმა

7.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ **გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად** ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების **და** საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე დადებითი ექსპერტიზის დასკვნის (აღნიშნული დასკვნ(ებ)ის ღირებულება უნდა დაფაროს მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით) წარმოდგენის შემდეგ. დადებითი ექსპერტიზის დასკვნა გაცემული უნდა იყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ (იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო", მიმწოდებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (აკრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას);

7.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა)მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) *საპროექტო-სახარჯთაღღიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობა უნდა შეიცავდეს*:

1. თავფურცელი - ობიექტის დასახელება და მისამართი.
2. საჭიროების შემთხვევაში ნახაზები.
3. განმარტებითი ბარათი.
4. ორთო ფოტო/გეგმა
5. არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა.
6. სამუშაოთა მოცულობების და მასალების კრებსითი უწყისი;

7. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (დეფექტური აქტი, ლოკალური ხარჯთაღრიცხვა, კრებსითი ხარჯთაღრიცხვა) შედგენილია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად - რესურსული მეთოდით;

8. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის 3 (სამი) ეგზემპლიარი (ელექტრონული ვერსიით PDF; Excel; PLM; ან/და DWG); ასევე მუშა პროექტით გათვალისწინებული უნდა იყოს: სამუშაოების წინასწარი რესურსული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დოკუმენტაციის მომზადება, ყველა არსებული გადასახადების გათვალისწინებით.

ბ)ობიექტისადგილზეშესწავლისშემდეგ სხვა დამატებითი აუცილებელი ჩასატარებელი სამუშაოების შემთხვევაში საპროექტო ჯგუფი ვალდებულია იხელმძღვანელოს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო წესების და ნორმების შესაბამისად.

გ) სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლენილი უზუსტობების ან/და შეუსაბამობების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, მუნიციპალიტეტის მიერ წერილობითი მიმართვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირება და კორექტირებული დოკუმენტაციის მუნიციპალიტეტისთვის მიწოდება;

დ) მიმწოდებელი ვალდებულია 5 სამუშაო დღის ვადაში გამოასწოროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში ან/და მისი დასრულების შემდგომ, ინსპექტირების შედეგად გამოთქმული შენიშვნები (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გამოვლენილი შეუსაბამობები ნორმატიულ-ტექნიკური დეკუმენტებთან და ტექნიკური დავალების მოთხონებთან) ან წარმოადგინოს მათზე არგუმენტირებული პასუხები.

ე) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე.

ვ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების **0.02%-ის** ოდენობით, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **0.2%-ს** „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.6. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

9.7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულელობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა განუხორციელებელი მომსახურების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

9.8. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.5. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ შეფერხების ფაქტის წარმოშობისას დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში წინადადება არ განიხილება. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
14.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების ზედამხედველობას და კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 18 მარტის N772 ბრძანებით შექმნილი მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფი;**

14.3. დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხის კონტროლს და სამუშაოების მოცულობების ხარჯთაღრიცხვასთან შესაბამისობას, ასევე დასკვნის მომზადებას აღნიშნული პროექტით მშენებლობის განხორციელებასთან დაკავშირებით უზრუნველყოფს **ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 18 მარტის N772 ბრძანებით შექმნილი მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფი, 10 სამუშაო დღის ვადაში;**

14.4. თუ შესყიდვის ობიექტი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირის ან/და პირების დასკვნის საფუძველზე მოითხოვოს არსებული ხარვეზების გამოსწორება. ხარვეზების გამოსწორებამდე, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობება წერილობით.

14.5. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.6. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების, ასევე მესამე პირის დაზიანებული ქონების ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ხაშურის მუნიციპალიტეტი
ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022; საიდენტიფიკაციო კოდი: N243908848.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი _____ khashuri municipality Digitally signed by khashuri municipality Date: 2019.04.12 17:49:30 +04'00' _____ გიორგი გურასპაშვილი

ბ.ა.

მიმწოდებელი:

შპს „პროექტი“
ქ. თბილისი, გლდანი–ნაძალადევის რაიონი, სადმელის ქ.№ 46,
სს „თიბისი ბანკი“, TBCBGE22;
ა/ა GE02TB7742936050100001; საიდენტიფიკაციო კოდი: N400017815.

შპს „პროექტი“-ს დირექტორი _____ გელადი ნადირაძე

ბ.ა.

ხელშეკრულება N69-ის დანართი N1

N	საპროექტო მომსახურების დასახელება	სამუშაოს სავარაუდო ღირებულება (ლარი)	მომსახურების პროცენტი	ღირებულება (დღგ-ს ჩათვლით)
1	ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურული სამუშაოების საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	700 000	3.5%	24 500.00

- ✓ მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებიდან **20 დღის ვადაში** უნდა წარმოადგინოს პროექტის სავარაუდო ვარიანტი დამუშავების პროცესში შემსყიდველთან განსახილველად. ხელშეკრულების გაფორმებიდან **45 დღეში** უნდა წარმოადგინოს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ექსპერტიზის დასკვნით;

- ✓ **მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა დამზადებული პროექტის განხორციელების/მშენებლობის პროცესში. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა და საჭიროების შემთხვევაში საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება 10 დღის ვადაში;**

- ✓ **პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი თანხმდება შემსყიდველთან საპროექტო მომსახურების ღირებულების შეუცვლელად;**

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი	შპს „პროექტი“ -ს დირექტორი
გიორგი გურასპაშვილი	გელადი ნადირაძე
khashuri municipality Digitally signed by khashuri municipality Date: 2019.04.12 17:49:11 +04'00'	_____
ბ.ა.	ბ.ა.